

## თვითრეგულირების მექანიზმი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ (დამტკიცებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით) მე-2 თავის თანახმად, მაუწყებლებს ევალებათ თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა.

შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის“, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით, შექმნილი აქვს თვითრეგულირების ეფექტიანი მექანიზმი, რომელიც შეესაბამება მაღალ პროფესიულ სტანდარტებს და ითვალისწინებს საჩივრის ეფექტიანად განხილვის გამჭვირვალე პროცედურას, მასზე დროულ და დასაბუთებულ რეაგირებას.

შპს „აჭარასპორტ.ტვ-ში“, თვითრეგულირების ფარგლებში, საჩივრების განმხილველი კომისია ორი ინსტანციის სახით არსებობს. კერძოდ, საჩივრების განმხილველი პირველი ინსტანციაა „საჩივრების განმხილველი კომისია“, ხოლო მეორე ინსტანციაა „სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისია“.

შპს „აჭარასპორტ.ტვ-ის“ დირექტორის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებულია [საჩივრების განმხილველი კომისიის დებულება](#) და [სააპელაციო საჩივრების განმხილველი სააპელაციო კომისიის დებულება](#).

თუ თვლით, რომ შპს „აჭარასპორტ.ტვ-იმ“ „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ და თქვენი უფლებები დაარღვია, შეგიძლიათ კომპანიას საჩივრით მიმართოთ.

საჩივრის წარმოდგენის სურვილის შემთხვევაში, გთხოვთ, შესაბამისი დებულების საფუძველზე შედგენილი საჩივარი და შესაბამისი დოკუმენტაცია, თვითრეგულირების მექანიზმის სახელზე ჩააბაროთ შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას ქუჩა 14, მე-5 სართული ან საჩივარი და შესაბამისი დოკუმენტაცია გამოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე: [legal@setantasports.com](mailto:legal@setantasports.com)